

კონსოლიდირებული ფინანსური და ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ანატოლია თრეიდ კომპანი“

2019 წლის 31 დეკემბერი

(კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორის დასკვნა წარმოადგენს
ინგილისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება (გაგრძელება)	8
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	11
მმართველობითი ანგარიშგება	37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს „ანატოლია ტრეიდ კომპანის“ მფლობელებს:

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ანატოლია ტრეიდ კომპანის“ და მისი შვილობილი კომპანიის (ერთად აღებული „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, მის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად..

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ასს“). ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული მატერიალური განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 18, 19.2-სა და 19.3-ზე. 2019 წელს ჯგუფს ჰქონდა 1,623 ათასი ლარის (2018: 565 ათასი) წმინდა ზარალი. ჯგუფი გაჩერებული იყო 2019 სრული წლის და 2020 წლის 6 თვის განმავლობაში. ჯგუფმა შეამცირა პერსონალის დიდი ნაწილი საწარმოო პროცესის გაჩერების გამო. აღნიშნულ ფაქტებს, რასაც მოგვიანებით დაემატა კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული სიტუაციაც, შეუძლიათ გამოიწვიონ მნიშვნელოვანი ეჭვი ჯგუფის უნართან დაკავშირებით გააგრძელოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად. როგორც აღწერილია ზემოთ ხსენებულ შენიშვნებში, ჯგუფის ხელმძღვანელობას მიღებული აქვს გარკვეული ზომები, იმისათვის რომ მოახდინოს არსებულ რისკებზე რეაგირება და შეძლებისდაგვარად მართოს სიტუაცია. თუმცა, თუ ხელმძღვანელობის შეფასება იქნება რეალობისგან განსხვავებული, ჯგუფმა შესაძლოა ვერ გააგრძელოს უწყვეტი ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდამა საწარმომ.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან დაკავშირებით.

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა, რომლითაც განვიხილავთ არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება მატერიალურად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ სხვაგვარად აღმოჩნდება მატერიალურად შეუსაბამო.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს). ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით, თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს ჯგუფის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების დაშვებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ფინანსური ანგარიში

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლო თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საჭირო და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომისიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ სათანადო აუდიტორულ რწმუნებულებას ორგანიზაციის ან ბიზნესის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა აუდიტორული მოსაზრების გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე და აუდიტის პროცესის გაძღოლაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენს მიერ გამოხატულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

2021 წლის 7 დეკემბერი



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	17,685	12,712
აქტივის გამოყენების უფლება	5	35	-
არამატერიალური აქტივები		16	18
		<u>17,736</u>	<u>12,730</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	11,875	19,744
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,942	496
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		21	21
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	105	912
		<u>13,943</u>	<u>21,173</u>
სულ აქტივები		<u>31,679</u>	<u>33,903</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	9.1	2,527	2,527
გადაფასების რეზერვი	9.2	4,890	810
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		7,735	8,563
მშობელი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი კაპიტალი		<u>15,152</u>	<u>11,900</u>
უმცირესობის წილი		<u>9,453</u>	<u>6,330</u>
სულ კაპიტალი		<u>24,605</u>	<u>18,230</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	10	29	-
		<u>29</u>	<u>-</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	7,037	15,673
საიჯარო ვალდებულებები	10	8	-
		<u>7,045</u>	<u>15,673</u>
სულ აქტივები და ვალდებულებები		<u>31,679</u>	<u>33,903</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2021 წლის 7 დეკემბერს:

ალხან ალიზადა

გენერალური დირექტორი

ქეთევან ჯავახიშვილი

ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 14-43 გვარდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	17,685	12,712
აქტივის გამოყენების უფლება	5	35	-
არამატერიალური აქტივები		16	18
		17,736	12730
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	11,875	19,744
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,942	496
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		21	21
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	105	912
		13,943	21,173
სულ აქტივები		31,679	33,903
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	9.1	2,527	2,527
გადაფასების რეზერვი	9.2	4,890	810
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		7,735	8,563
მშობელი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი კაპიტალი		15,152	11,900
უმცირესობის წილი		9,453	6,330
სულ კაპიტალი		24,605	18,230
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	10	29	-
		29	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	7,037	15,673
საიჯარო ვალდებულებები	10	8	-
		7,045	15,673
სულ აქტივები და ვალდებულებები		31,679	33,903

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2021 წლის 7 დეკემბერს:

ალხან ალიზადა	ქეთევან ჯავახიშვილი
გენერალური დირექტორი	ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 14-43 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

თასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი	12	51,180	64,918
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(47,408)	(63,454)
საერთო მოგება		3,772	1,464
სხვა შემოსავალი	14	1,457	3,685
ადმინისტრაციული ხარჯები			
თანამშრომელთა ხელფასები		(2,044)	(2,106)
საპენსიო ფონდის ხარჯები		(42)	-
საბანკო გადასახადი		(95)	(34)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,429)	(246)
კომუნალური ხარჯები		(46)	(183)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(451)	(386)
დაზღვევის ხარჯი		(21)	(33)
დაცვა		(90)	(103)
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება		(52)	(28)
სარემონტო და ტექნიკური ხარჯები		(20)	(445)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		(1,606)	-
თანამშრომლებისთვის წინასწარ გადახდილი თანხები		(57)	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(122)	(408)
		(6,075)	(3,972)
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები			
თანამშრომელთა ხელფასები		(567)	(426)
იჯარის ხარჯი		(253)	(204)
სარეკლამო ხარჯები		(211)	(75)
სატრასპორტო ხარჯები		(97)	(52)
		(1,128)	(757)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(1,974)	420
ფინანსური შემოსავალი	15	50	68
ფინანსური ხარჯი	15	(110)	-
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	16	411	(1,018)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(1,623)	(530)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება (გაგრძელება)

თასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მოგების გადასახადის ხარჯი	17	-	(35)
წლის ზარალი		(1,623)	(565)
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშალებების გადაფასება		7,998	-
სრული შემოსავალი/(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		6,375	(565)
მშობელი კომპანიის წილი		(828)	(288)
უმცირესი წილი		(795)	(277)
სხვა სრულიშემოსავალი			
მშობელი კომპანიის წილი		4,080	-
უმცირესი წილი		3,918	-

თანდართული შენიშვნები 14-43 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	გადაფასების რეზერვი	სულ მშობელი კომპანიის მფლობელობის წილი	უმცირესობის წილი	სულ
2018 წლის 1 იანვარი	2,527	8,851	810	12,188	6,607	18,795
ზარალი წლის განმავლობაში	-	(288)	-	(288)	(277)	(565)
სრული ზარალი	-	(288)	-	(288)	(277)	(565)
2018 წლის 31 დეკემბერი	2,527	8,563	810	11,900	6,330	18,230
ზარალი წლის განმავლობაში	-	(828)	-	(828)	(795)	(1,623)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	4,080	4,080	3,918	7,998
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(828)	4,080	3,252	3,123	6,375
2019 წლის 31 დეკემბერი	2,527	7,735	4,890	15,152	9,453	24,605

თანდართული შენიშვნები 14-43 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი წლის განმავლობაში		(1,623)	(565)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,429	952
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი		4	64
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		1,606	-
ფინანსური ხარჯი		110	-
მოგების გადასახადის ხარჯი		-	35
საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება		-	(3)
ფინანსური შემოსავალი		(50)	(68)
საქურსო სხვაობის (მოგება)/ზარალი		(411)	1,018
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე		1,065	1,433
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,446)	685
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		7,869	(15,593)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(8,833)	13,801
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		(1,345)	326
გადახდილი პროცენტი		(106)	-
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		(1,451)	326
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(3)	(261)
საპროცენტო შემოსავლების მიღება		50	68
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		47	(193)
ფულადი ნაკადები ფინანსირებიდან			
შემოსავალი სესხებიდან და საიჯარო ვალდებულებებიდან	24	7,853	-
სესხებისა და საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	24	(7,875)	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		(22)	-
წმინდა ფულის ზრდა/(კლება)		(1,426)	133
საქურსო სხვაობის გავლენა ფულზე		619	486
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის დასაწყისში		912	293
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის ბოლოს		105	912

თანდართული შენიშვნები 14-43 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს „ანატოლია თრეიდ კომპანი“ („ჯგუფი“) დაარსდა 2010 წელს. იმავე წელს ჯგუფმა დაარსა შვილობილი კომპანია შპს „აგარის შაქრის კომპანია“ და შეიძინა საქართველოში არსებული ერთადერთი შაქრის ქარხანა, რომელიც მდებარეობს სოფელ აგარაში, ქარელის რაიონი, საქართველო. ქარხანა არსებობს 1932 წლიდან.

ჯგუფის მთავარი საქმიანობაა შაქრის ლერწმის გადამამუშავების შედეგად მიღებული ნედლეულიდან თეთრი შაქრის წარმოება და საბოლოო პროდუქტის შიდა ბაზარზე გაყიდვა. ჯგუფი ასევე ყიდულობს რაფინირებულ შაქარს და ყიდის შიდა ბაზარზე.

ჯგუფის 100%-იან წილს ფლობს აზერბაიჯანში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანადოლუ ინვესტმენტ კომპანი, რომელსაც თავის მხრივ აკონტროლებს აზერბაიჯანის მოქალაქე გოზალ კურტ ლეილა აბდოლბარი ქიზი, რომელიც ფლობს აღნიშნული კომპანიის წილის 60%-ს.

შპს „ანატოლია თრეიდ კომპანის“ იურიდიული მისამართია: მატროსოვის ქ. 13, ისანი, თბილისი, საქართველო.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად გამოშვებული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ.

ჯგუფმა 2019 წელს მიიღო ახალი სახელმძღვანელო მითითებები საიჯარო აღიარების შესახებ (იხ. შენიშვნა 2.5). ახალი სტანდარტი გამოყენებულია შეცვლილი რეტროსპექტიული მიდგომის საშუალებით, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მიღების კუმულაციური ეფექტი აღიარებულია, როგორც გაუნაწილებელი მოგების ერთი კორექტირება. შესაბამისად, კომპანიას არ მოეთხოვება წარმოდგინოს ფინანსური მდგომარეობის შესამე განცხადება ამ თარიღისთვის.

2.2 გაანგარიშების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც მოცემულია ფულადი სახსრების ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებით, ძირითადი საშუალებები წარდგენილის სამართლიანი ღირებულებით, ამის შესახებ აღწერილია ქვემოთ იხილეთ შენიშვნა 4.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში (ან მითითებულია), მთლიანი ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია დამრგვალებულად ათას ლარში.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-19 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ გამოცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის („IFRIC“) მიერ გამოცემული ყველა ინტერპრეტაცია რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის ოპერაციებთან.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო წლებისათვის

ფასს 9-ის თანახმად, სესხის ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის საშუალებით, იმ პირობით, რომ საკონტრაქტო ფულადი ნაკადები არის „მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა“ (SPPI კრიტერიუმში) და ინსტრუმენტი ინახება ამ კლასიფიკაციის შესაბამის ბიზნეს მოდელში. ფასს 9-ში შესწორებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი გადის SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად იმ მოვლენისა თუ ვითარებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების აღრუელ შეწყვეტას და იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მხარე გადაიხდის ან მიიღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის გამო.

ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ანაცვლებს ბასს 17 იჯარას, სამ ინტერპრეტაციასთან ერთად (ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“).

ახალი სტანდარტის მიღებამ ჯგუფში გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლებისა და მასთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულების აღიარება ყველა წინანდელ საოპერაციო იჯარასთან მიმართებაში, გარდა იმ იჯარებისა, რომელთაც აქვთ დაბალი ღირებულება, ან 12 თვეზე ნაკლები დარჩენილი საიჯარო ვადა თავდაპირველი აღიარების თარიღიდან.

ახალი სტანდარტი გამოყენებულ იქნა გამარტივებული მიდგომით. ფასს 16-ის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი აღიარებულია კაპიტალში, როგორც მიმდინარე გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება, სტანდარტის თავდაპირველი. კომპანიის მიერ წინა პერიოდში წარდგენილი ფინანსური ინფორმაცია არ დაკორექტირებულია.

სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის გაფორმებული კონტრაქტებისთვის, ჯგუფმა გადაწყვიტა, გამოეყენებინა იჯარის განსაზღვრება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით და არ გამოეყენებინა ფასს 16-ის გარიგებებისთვის, რომლებიც თავდაპირველად არ იყო აღიარებული, როგორც იჯარა ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით.

ჯგუფმა გადაწყვიტა არ ჩაერთო თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები იმ აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, რომლებსაც კომპანია ფლობს მოკლევადიანი იჯარისთვის ფასს 16-ის გამოყენების დაწყების თარიღისთვის - 2019 წლის 1-ლი იანვრისთვის. ამ თარიღისთვის, ჯგუფმა ასევე აირჩია აქტივების გამოყენების უფლების შეფასება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, დაკორექტირებული წინასწარ გადახდილი, ან დარიცხული საიჯარო გადასახდელებით, რომლებიც არსებობდა ოპერაციის თარიღისთვის.

აქტივის გამოყენების უფლებაზე გაუფასურების ტესტირების ნაცვლად, სტანდარტის პირველადი გამოყენების თარიღისთვის, კომპანია დაეყრდნო თავის ისტორიულ შეფასებებს, ჰქონდა თუ არა იჯარას მნიშვნელოვანი გავლენა ფასს 16-ის პირველადი გამოყენების თარიღამდე.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მომენტისთვის, იჯარებისთვის, რომლებიც მანამდე აღრიცხული იყო, როგორც საოპერაციო იჯარა 12 თვეზე ნაკლები საიჯარო ვადითა და დაბალი ღირებულებით, კომპანიამ გამოიყენა არჩევითი გამონაკლისები არ ელიარებიანთ აქტივის გამოყენების უფლება, არამედ აღერიცხა ისინი საიჯარო ხარჯად წრფივი მეთოდით, დარჩენილ საიჯარო პერიოდზე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთი ფასს 16-ით განსაზღვრულ საიჯარო ვალდებულებებთან მიმართებაში შეადგენდა 10.99%-ს.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული ჯგუფის მიერ

ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის დღისათვის, არის სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("IASB") მიერ, მაგრამ არაა ძალაში შესული. ჯგუფს ჯერ კიდევ არ დაუწყია მათი დანერგვა ბუღალტრული ანგარიშგებაში. ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაფერისი სტანდარტი, განახლება თუ ინტერპრეტაცია მიღებული იქნება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში იმ დღიდან, როცა ისინი ძალაში შევა.

2.6 შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავ შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

2019 წლის 31 დეკემბერი შვილობილი	მფლობელობა %	ქვეყანა	გაერთიანების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს აგარის შაქრის კომპანია	51.00	საქართველო	2010 წლის 22 ივლისი	წარმოება	2010 წლის 22 ივლისი
2018 წლის 31 დეკემბერი შვილობილი	მფლობელობა %	ქვეყანა	გაერთიანების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს აგარის შაქრის კომპანია	51.00	საქართველო	2010 წლის 22 ივლისი	წარმოება	2010 წლის 22 ივლისი

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 კონსოლიდაციის საფუძვლები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს მშობელი კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის ანგარიშებს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ყველა შვილობილი კომპანიის ანგარიშგების თარიღია 31 დეკემბერი.

ჯგუფის კომპანიებს შორის ყველა ოპერაცია და ნაშთი აღმოიფხვრება კონსოლიდაციის შედეგად, განხორციელებული ოპერაციების არარეალიზებული მოგება/ზარალის ჩათვლით. როდესაც ჯგუფში აქტივების გაყიდვების არარეალიზებული ზარალი ანაზღაურდება კონსოლიდაციის შედეგად, ძირითადი აქტივი ასევე შემოწმდება ჯგუფის პერსპექტივიდან გაუფასურების შესახებ. შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილი თანხები შესწორდა საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის მიერ მიღებულ სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიების მოგება ან ზარალი აღიარებულია შეძენის ძალაში შესვლის თარიღიდან ან განკარგვის ძალაში შესვლის თარიღამდე.

ჯგუფი ასახავს შვილობილი კომპანიების მთლიან გაერთიანებულ შემოსავალს ან ზარალს მშობლის მეპატრონეებს შორის და არაკონტროლირებადი ინტერესებს მათი საკუთრების შესაბამისი ინტერესებიდან გამომდინარე.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ევრო 3.2095 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი და 3.0701 ევრო). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით).

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.3 ძირითადი საშუალებები

მიწა, შენობა-ნაგებობები და საწარმოო დანადგარები (საწარმოო პროცესში მონაწილე ძირითადი საშუალებები) წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით, გადაფასების დღის რეალური ღირებულებით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საჭიროებისამებრ (საკმარისი) სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასებული საკუთრების გაყიდვის ან ბრუნვიდან ამოღების დროს, კუთვნილი გადაფასების ნაშეტი, რომელიც დარჩენილია საკუთრების გადაფასების რეზერვში გადაიტანება პირდაპირ დაგროვილ მოგებაში.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობები	- 20 წელი
საწარმოო დანადგარები	- 12-13 წელი
ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	- 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი.

იმის გამო, რომ მიწისას სასიცოცხლო მოხამრების ვადა არ გააჩნია,, მას ცვეთა არ ერიცხება.

3.4 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 6 წლის გაანგარიშებით.

3.5 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.6 იჯარა

როგორც აღწერილია შენიშვნა 2.5-ში, კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ის გამარტივებული მიდგომა, შესაბამისად, შესაღარი ისინი ინფორმაცია ხელახლა არ შეფასებულია. რაც გულისხმობს იმას, რომ შესაღარი ისინი ინფორმაცია კვლავ ბასს 17-ისა და ფასიკ 4 შესაბამისადაა წარდგენილი.

საადრიცხო პოლიტიკა, რომელიც მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრიდან

კომპანია, როგორც მოიჯარე

წლის 1 იანვრის ან მას შემდეგ დადებული ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, კომპანია განიხილავს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარა განისაზღვრება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის კონტროლის უფლების გადაცემას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. ამ განსაზღვრების გამოსაყენებლად, კომპანია აფასებს აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.
- აქვს თუ არა კომპანიას ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან მთლიანი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება აქტივის გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- კომპანიას უფლება აქვს იდენტიფიცირებადი აქტივი გამოიყენოს მთელი პერიოდის განმავლობაში. კომპანია აფასებს აქვს თუ არა მას უფლება, პირდაპირ გამოიყენოს „როგორ და რა მიზნით“ იქნა აქტივი გამოყენებული პერიოდის განმავლობაში.

იჯარის აღიარება და შეფასება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში..

აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით). კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკევებით, ვინაიდან საიჯარო ვალდებულებაც წარდგენილია ცალკე.

საადრინცხო პოლიტიკა, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრამდე

კომპანია, როგორც მოიჯარე

ფინანსური იჯარა

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას საიჯარო ხელშეკრულების არსის განხილვისას და გადასცემს თუ არა იგი საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. განხილული ძირითადი ფაქტორები მოიცავს საიჯარო პერიოდის ხანგრძლივობას აქტივის ეკონომიკურ მომსახურების ვადასთან მიმართებაში, მინიმალური საიჯარო გადასახდელების ახლანდელ ღირებულებას აქტივის სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში და გადადის თუ არა მფლობელობა კომპანიაზე იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ.

როდესაც იჯარა მოიცავს მიწას და შენობა-ნაგებობებს, იჯარის მინიმალური გადასახდელები პირველად გამოიყოფა თითოეულ კომპონენტზე შესაბამისი საიჯარო პროცენტის სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. შემდეგ, თითოეული კომპონენტი ფასდება ცალ-ცალკე, როგორც განსასაზღვრე ფაქტორი, მიეკუთვნება თუ არა იგი ფინანსური იჯარის ნაწილს, იმის გათვალისწინებით, რომ მიწას, როგორც წესი, განუსაზღვრელი ეკონომიკური მომსახურების ვადა აქვს.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივების ცვეთის მეთოდებისა და სასარგებლო მომსახურების ვადების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 3.5.

საიჯარო გადახდების საპროცენტო ელემენტი ხვდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური ხარჯები იჯარის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია მოიჯარეა, გადახდები საოპერაციო იჯარაზე აღიარდება, როგორც ხარჯი, წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა მომსახურებისა და დაზღვევის, აღიარდება პერიოდის ხარჯებად.

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწრა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია - FVOCI.

კლასიფიკაცია განსაზღვრული შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. ჯგუფის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 20.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL)

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება გამოტოვებულია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე ბირჟაზე დარეგისტრირებული ობლიგაციები, რომლებიც აქამდე დარეგისტრირებული იყო როგორც დაფარვის ვადამდე (HTM) ბასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელი“. ახალ არეალში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებულ ხარჯად და FVOCI, სავაჭრო მოთხოვნები, სახელშეკრულებო აქტივები აღიარებული და შეფასებული ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულება და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული ჯგუფის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად ჯგუფი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2)

ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

ჯგუფი იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 21 (ბ) დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 20.2 შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, წმინდა გაცემის ღირებულებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებულია სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, საკვალიფიკაციო აქტივის კონსტრუქციასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.9 ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ხელზე არსებულ ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისათვის, ფულის ექვივალენტები მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებია, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი ექვივალენტები საჭიროა უფრო მეტად მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისთვის, ვიდრე

საინვესტიციო ან სხვა მიზნებისათვის. ჯგუფი აკლასიფიცირებს ინვესტიციებს, როგორც ნაღდი ფულის ექვივალენტებს, თუ ისინი ადვილად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს.

3.10 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფუძნება 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი აღიარებულია ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, განურჩევლად გადახდის რეალური თარიღისა და დივიდენდების განაწილების პერიოდისა. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების ოდენობის 15/85.

2017 წელს, მოგვიანებით დეკლარირებულ და გადახდილ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადისთვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, გადასახადის კრედიტი ხელმისაწვდომია წინა მოდელის მიხედვით გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ იქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.12 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება წარმოებული და იმპორტირებული საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია

2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

ზოგადად, შემოსავალი აღიარებულია ან დასასწყისში ან ბოლოში, როდესაც (ან როგორც) ჯგუფი აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებებს, დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემა თავის მომხმარებლებზე.

ჯგუფი აცნობებს საკონტრაქტო ვალდებულებებს, ანაზღაურებაზე, რომელიც მიღებული იქნა შეუსრულებელი შესრულების ვალდებულებებთან დაკავშირებით და ამ თანხებს ასახავს, როგორც სხვა ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ანალოგიურად, თუ ჯგუფი ანაზღაურებას მიიღებს შესრულების ვალდებულებამდე, ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს ან ხელშეკრულების აქტივს, ან მისაბრუნებელს, იმისდა მიხედვით, საჭიროა თუ არა დრო სხვა რამის გარდა, ანაზღაურება უნდა მოხდეს.

რეალიზაცია

ჯგუფის ერთადერთი შემოსავალი არის შემოსავალი საქონლის გაყიდვებიდან - წარმოებული შაქარი ან იმპორტირებული შაქრის რეალიზაცია.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია, როდესაც ჯგუფი აქტივების გადასცემს მომხმარებელს. გადაცემული საქონლის ინვოისები გადაიხდება მაშინ, როცა მომხმარებელი მიიღებს. საქონლის ამგვარი გაყიდვების დროს, კონტროლი გადააქვთ იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი საქონლის უდავო მიწოდებას ახორციელებს, ამიტომ საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია დროის ამ ეტაპზე.

შემოსავალი მცირდება მომხმარებლის სავარაუდო ანაზღაურებაზე, ფასდაკლებით და სხვა მსგავსი შემწეობებით.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროულად, ძირითადად და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მითითებით, რომელიც თავისთავად, წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ახდენს აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში და დაჰყავს ის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	საწარმოო დანადგარები	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება						
1 იანვარი, 2018 წელი	1,889	11,515	12,122	379	380	26,285
შემოსვლა	-	-	257	4	-	261
გასვლა	-	-	(88)	(19)	(34)	(141)
31 დეკემბერი, 2018 წელი	1,889	11,515	12,291	364	346	26,405
შემოსვლა	-	-	-	3	-	3
გასვლა	-	-	(7)	-	-	(7)
გადაფასების რეზერვი	87	3,627	4,619	-	-	8,333
გადაფასების რეზერვის შემცირება	(335)	-	-	-	-	(335)
31 დეკემბერი, 2019 წელი	1,641	15,142	16,903	367	346	34,399
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება						
1 იანვარი, 2018 წელი	-	5,077	6,407	322	376	12,182
წლის ცვეთა	-	577	962	45	4	1,588
კლების შედეგად ცვეთის ელიმინირება	-	-	(40)	(3)	(34)	(77)
31 დეკემბერი, 2018 წელი	-	5,654	7,329	364	346	13,693
წლის ცვეთა	-	577	841	-	-	1,418
კლების შედეგად ცვეთის ელიმინირება	-	-	(3)	-	-	(3)
გაუფასურების ზარალი	-	153	1,453	-	-	1,606
31 დეკემბერი, 2019 წელი	-	6,384	9,620	364	346	16,714
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2018 წელი	1,889	5,861	4,962	-	-	12,712
31 დეკემბერი, 2019 წელი	1,641	8,758	7,283	3	-	17,685

ჯგუფის მფლობელობაშია მიწა აგარაში 300 ათასი ლარის ისტორიული ღირებულებით. მიწა გადაფასდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ პირველად 2015 წელს და ღირებულებამ შეადგინა 1,899 ათასი ლარი. 2018 წელს ჯგუფმა შეცვალა მიწის საანგარიშგებო პოლიტიკა თვითღირებულების მოდელიდან გადაფასების მოდელზე, რომელიც გავრცელდა რეტროსპექტიულად 2015 წლის 1-ლი იანვრიდან.

ჯგუფმა შეიცვალა ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა 2019 წელს შენობა-ნაგებობების და საწარმოო დანადგარების მიმართაც, იგი გადავიდა თვითღირებულების მოდელიდან გადაფასების მოდელზე. შეიცვალა ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გადაფასების მოდელი უფრო შესაბამის ინფორმაციას აწვდის ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გადაფასა მიწები, შენობა-ნაგებობები და საწარმოო დანადგარები (საწარმოო დანადგარები, რომელზეც წარმოებაში მონაწილეობას იღებენ: მანქანები და მძიმე ტექნიკა).

2018 წლის 31 დეკემბრისთვის გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 516 ათას ლარს. (2018: 448 ათასი ლარი) და წარმოდგენილია მანქანა-დანადგარებსა და მძიმე აღჭურვილობის კატეგორიაში.

1.876 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების ძირითადი საშუალებები სრულად არის გაცვეთილი. (2018: 710 ათასი ლარი)

2019 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს არ აქვს სესხები. კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებები ერთ-ერთ კომერციულ ბანკთან. ჯგუფს შეუძლია სესხი აიღოს თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად ნებისმიერ დროს, მაგრამ 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ნაშთები არ არის. ამ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების თანახმად, 3,419 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები დატვირთულია საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ქვეშ.

იმის გამო, რომ 2019 წლის განმავლობაში წარმოების პროცესი შეჩერებული იყო და კომპანია ყიდდა იმპორტირებულ საქონელს და წინა წლებში წარმოებულ პროდუქციას, ცვეთა ამ წელს მთლიანად დაერიცხა ადმინისტრაციულ ხარჯებში.

2018 წლის განმავლობაში ცვეთის ხარჯი აღრიცხულია მოგება/ზარალის უწყისზე შემდეგი პროპორციით:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	706
ადმინისტრაციული ხარჯები	245
	951
 მარაგებზე დარიცხული ცვეთა წლის ბოლოს	 637
	1,588

5 აქტივის გამოყენების უფლება

ათასი ლარი	შენიშვნა- ნაგებობები	სულ
ღირებულება		
1 იანვარი, 2019 წელი	-	-
კორექტირებები ფასს 16-ის მიხედვით	44	44
31 დეკემბერი 2019 წელი	44	44
აკუმულირებული ცვეთა		
1 იანვარი 2019 წელი	-	-
წლის ცვეთა	9	9
31 დეკემბერი, 2019 წელი	9	9
საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი, 2019 წელი	-	-
31 დეკემბერი, 2019 წელი	35	35

იჯარით აღებული აქტივები მოიცავს 5 (ხუთი) წლის საიჯარო ვადას. ცვეთა აისახება მოგება/ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე.

6 მარაგები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	10,524	18,386
გადამუშავების პროცესში მყოფი მარაგები	1,217	1,222
ნედლეული	134	136
	11,875	19,744

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	865	300
საკრედიტო ზარალის გაუფასურება	-	(12)
	865	288
არა-ფინანსური აქტივები		
წინასწარ გადახდილი ხარჯები	22	128
წინასწარ გადახდილი ხელფასები	57	57
საექვო მოთხოვნის რეზერვი წინასწარ გადახდილ თანხებზე	(57)	-
სახელწმიფოს ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,055	23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,942	496

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია სამართლიან ღირებულების მიახლოებულ თანხად.

სავაჭრო მოთხოვნები გადათვლილია დაახლოებით 30-90 დღეზე. (2018: 30-90) არ ერიცხება პროცენტი.

სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი თანხები შეადგენს წინასწარ გადახდილ დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ), რომელიც უახლოეს მომავალში სრულად დაფარვადია.

შენიშვნა 21 (ბ)-ში წარდგენილია საკრედიტო რისკებისა და შესაძლო დანაკარგებით გამოწვეული ზარალის ანალიზი.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 21 (ა)-ში.

8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	2	12
საბანკო ანგარიშებზე	103	900
	105	912

ფულადი სახსრები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 21 (ა)-ში.

9 კაპიტალი და რეზერვები

9.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება ერთი აქციისგან, ნომინალური ღირებულებით 2,527 ლარი, რომელიც ეკუთვნის შპს „ანადოლუ ინვესტმენტ კომპანი-ს“ აზერბაიჯანში. 2019 წლიდან კომპანიის 100 %იანი მმართველი გახდა შპს „ანადოლუ ინვესტმენტ კომპანი“, მანამდე 100 %იანი მმართველი იყო „გლობალ აგრო ინდასტრის FZCO“, არაბეთის გაერთიანებული საემიროები.

9.2 აკუმულირებული მოგება/(ზარალი)

დაგროვილი მოგება / (ზარალი) მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას / დაუდგენელ ზარალს.

9.3 გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი წარმოიქმნება მიწების, შენობებისა და საწარმოო აღჭურვილობის (მანქანები და მძიმე ტექნიკა) გადაფასებისას.

9.4 დივიდენდები

2019 და 2018 წლებში არ გამოცხადებულა გასაცემი დივიდენდები.

10 საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	8
გრძელვადიანი	29
	37

მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების ძირითადი აქტივების იჯარის გარდა, თითოეული იჯარა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც სარგებლობის უფლების მქონე აქტივი და საიჯარო ვალდებულება. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე (მაგალითად, საიჯარო გადასახადები ჯგუფის გაყიდვების პროცენტული მაჩვენებლის საფუძველზე),

გამოირიცხება საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის საწყისი შეფასებიდან. ჯგუფი ცალკე აკლასიფიცირებს აქტივის გამოყენების უფლებას და წარმოგვიდგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფი გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ქირაობს საწყობის ადგილს და ძირითადი აქტივი არ არის დაბალი ღირებულების ნივთი, ამიტომ საწყობის ფართის იჯარა ასახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ამ იჯარისთვის არ არსებობს ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. დარჩენილი საიჯარო ვადაა 4 წელი და საიჯარო ხელშეკრულებას აქვს გაგრძელების ვარიანტი.

სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები 2019 წლის 31 დეკემბერს იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი
1 წლის განმავლობაში	
საიჯარო გადასახადები	11
ფინანსური გადასახადები	(4)
	7
2 დან 5 წლის ჩათვლით	
საიჯარო გადასახადები	34
ფინანსური გადასახადები	(4)
	30
წმინდა მიმდინარე ღირებულება	37

საიჯარო გადასახადები არ არის აღიარებული როგორც ვალდებულება

ჯგუფმა აირჩია არ ცნოს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (საიჯარო მოსალოდნელი ვადა 12 თვე ან ნაკლები) ან დაბალი ღირებულების აქტივების იჯარაზე. ასეთი იჯარით გადახდილი თანხები ასახება წრფივი მეთოდის საფუძველზე. გარდა ამისა, საიჯარო გადასახადების გადახდა არ დაიშვება საიჯარო ვალდებულებებად და ნაჩვენებია როგორც პერიოდის ხარჯი. გადასახადებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც არ არის გათვალისწინებული საიჯარო ვალდებულების შეფასებისას, შემდეგია:

ათასი ლარი	2019
მოკლევადიანი იჯარა	87
დაბალი ღირებულების აქტივის იჯარა	1
ცვლადი საიჯარო გადასახადები	165
	253

ცვლადი საიჯარო გადასახადები, იცვლება იმის მიხედვით, თუ რა ფართობი ჭირდება ჯგუფს მეიჯარისგან მარაგების განსათავსებლად (კვ.მ). ცვლადი საიჯარო გადასახადები ასახება მათი გაწევის პერიოდში.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	6,974	13,291
გადასახდელი დივიდენდები	39	39
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	18	115
ვალდებულებები სახელწმიფო ბიუჯეტის მიმართ	-	2,214
მიღებული ავანსები	6	14
	7,037	15,673

ვალდებულებები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 21 (ა)-ში.

12 შემოსავალი

შემოსავალი წარმოიქმნება მათ მიერ წარმოებული და იმპორტირებული საქრისგან. ჯგუფს არ აქვს კონტრაქტუალური ვალდებულებები დაუკმაყოფილებელი შესასრულებელი მოვალეობების მიმართ.

ათასი ლარი	2019 წელი	2018 წელი
იმპორტირებული საქონლის რეალიზაცია	31,093	13,628
მზა პროდუქციის რეალიზაცია	20,051	50,731
თანაპროდუქტის რეალიზაცია	32	533
სხვა	4	26
	<u>51,180</u>	<u>64,918</u>

სხვა შემოსავალი მოიცავს სხვა მარაგების გაყიდვისგან და ასევე ტრანსპორტირებით მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს.

13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ათასი ლარი	2019 წელი	2018 წელი
იმპორტირებული საქონლის შესყიდვა	29,150	15,097
მზა პროდუქციის რეალიზაცია	18,244	48,230
თანაპროდუქტების ადგილობრივი რეალიზაციის თვითღირებულება	11	110
სხვა	3	17
	<u>47,408</u>	<u>63,454</u>

14 სხვა შემოსავალი

ათასი ლარი	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი ნაპატიები გადასახადო ორგანოებიდან	1,413	3,636
სხვა	44	49
	<u>1,457</u>	<u>3,685</u>

ჯგუფის საქმიანობის გაუმჯობესებისა და პროდუქციის პროცესის წახალისების მიზნით საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ეპატიებინა საგადახდო ვალდებულებები 2019 და 2018 წლისთვის.

15 ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ათასი ლარი	2019 წელი	2018 წელი
საპროცენტო ხარჯები საბანკო სესხებზე	(106)	-
საპროცენტო ხარჯები იჯარაზე	(4)	-
სულ ფინანსური ხარჯები	<u>(110)</u>	<u>-</u>
საპროცენტო შემოსავალი საბანკო სესხებიდან	50	68
სულ ფინანსური შემოსავალი	<u>50</u>	<u>68</u>
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	<u>(60)</u>	<u>68</u>

16 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

ათასი ლარი	2019 წელი	2018 წელი
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	619	497
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით	(208)	(1,515)
	<u>411</u>	<u>(1,018)</u>

17 მოგების გადასახადის ხარჯი

ათასი ლარი	2019 წელი	2018 წელი
მიმდინარე გადასახადი	-	35
	<u>-</u>	<u>35</u>

მოგების გადასახადის ხარჯის რაოდენობა 2019 და 2018 წლისთვის დაკავშირებულია გამოუქვითავ ერთეულებთან. რადგანაც დივიდენდები არ გამოცხდებულა 2019 და 2018 წლებში, მოგების გადასახადის გაანგარიშების წარდგენის აუცილებლობა არ არსებობს.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში კომპანიები იხდიან კორპორატიული მოგების გადასახადს მოგების განაწილებაზე (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). მიმდინარე საგადასახადო კონცეფციის თანახმად, არ არსებობს დროებითი სხვაობა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო საფუძველს შორის.

18 ფინანსური ანგარიშის თარიღის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა. გლობალური მასშტაბით, COVID-19-მა გამოიწვია ბიზნეს ოპერაციების მნიშვნელოვანი ჩაშლა და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასებს ზრდა და ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყვიტოს ყველა კომერციული ბიზნესი, გარდა ზოგიერთი აუცილებელი მომსახურებისა (კვების საცალო მაღაზიები, აფთიაქები და ა.შ.), თუმცა 2020 წლის მაისის ბოლოდან შეზღუდვები თანდათანობით მოიხსნა და ამჟამად თითქმის ყველა ბიზნესი ღიაა.

ჯგუფის მენეჯმენტს ჰქონდა მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან და ამ მოლაპარაკებების თანახმად, შაქრის ქარხანამ მიიღო გარკვეული სარგებელი მთავრობისგან. როგორც აღნიშნულია 19.3 შენიშვნაში, შპს აგარის შაქრის კომპანიის მიერ წარმოებულ შაქარს უფრო მაღალი ფასი ჰქონდა, ვიდრე სხვა კონკურენტების მიერ იმპორტირებულ შაქარს. საქართველოს მთავრობამ გადაუხადა შვილობილ კომპანიის ის სხვაობა, რაც შვილობილ კომპანიამ დაკარგა კონკურენტების დაბალი ფასის გამო.

2020 წლის ივნისში საწარმოო ქარხანამ დაიწყო მუშაობა. იმ დროისთვის თანამშრომელთა რაოდენობა 427 თანამშრომლით გაიზარდა. 2020 წელს გაყიდვები გაიზარდა პირველი რვა თვის განმავლობაში 8% -ით, უახლოეს მომავალში კომპანია გეგმავს ყველა თანამშრომლის შენარჩუნებას და მეტი შაქრის წარმოებას ადგილობრივი ბაზრისთვის.

19 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და განხილვები

შეფასებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

19.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, იშვიათად ემთხვევა რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ხანგრძლივობა

მმართველობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ხანგრძლივობა. მმართველობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობის შეფასებისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

მარაგები

მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა რეალიზების ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიამ ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

19.2 საადრიცხო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დაშვებები

2019 წლის განმავლობაში ჯგუფის ფინანსური წელი ზარალით დასრულდა, რომელმაც შეადგინა 1,623 ათასი ლარი (2018: 565 ათასი ლარი). აღნიშნულის მიზეზია საქართველოს ბაზარზე შემოსული ახალი კონკურენტი კომპანიები, რომელთა ძირითადი საქმიანობაა იმპორტირებული შაქრის რეალიზაცია, მათ მიერ შეთავაზებული ფასი დაბალია, ვიდრე კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ფასი. მოგების მარჯა 2019 და 2018 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა, ამ მიზეზების გამო ჯგუფმა შეაჩერა წარმოების პროცესი და 2019 სრული წლის და 2020 წლის ნახევარი წლის განმავლობაში წარმოების პროცესი, ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით კი კომპანიამ მნიშვნელოვნად შეამცირა თანამშრომლების რაოდენობა.

კოვიდ 19-ის ეფექტმაც გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე.

იმისათვის, რომ კომპანიის ხელმძღვანელობას ეპასუხა არსებულ გამოწვევებზე, გადაწყვეტილება მიიღო გაყიდოს იმპორტირებული საქონელი. ასევე 2020 წლის განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობამ მოლაპარაკება აწარმოა საქართველოს მთავრობასთან და მიიღო გარკვეული შეღავათები და ბენეფიტები ადგილობრივი წარმოების წახალისების მიზნით, რის შედეგადაც 2020 წელს ქარხანა კვლავ ამუშავდა. (იხილეთ შენიშვნა 18).

ხელმძღვანელობა თვლის, რომ ჯგუფი მომავალშიც შეძლებს ფუნქციონირებას ნორმალურ პირობებში და საწარმოს განგრძობითობის პრინციპის რისკის წინაშე არ დგას კომპანია.

19.3 მნიშვნელოვანი შეფასებები კომპანიის მომავალ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი მნიშვნელოვანი შეფასებები საწარმოს ფუნქციონირებასთან მიმართებაში:

- 2019 და 2018 წლებში კომპანიამ უკრაინიდან შემოიტანა შაქარი საქართველოს ბაზარზე გასაყიდად. კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს ამ საქმიანობის გაგრძელებას და ეძებს სხვა შესაძლო მომწოდებლებს და მიმართულებებს პროდუქციის იმპორტისა და ხელახალი რეალიზაციისთვის კონკურენტულ ფასებში.
- 2020 წლის განმავლობაში მენეჯმენტი მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველოს მთავრობასთან და სარგებელს იღებდა ადგილობრივი შაქრის წარმოებისთვის. მენეჯმენტი გეგმავს ადგილობრივი წარმოების გაზრდას და ახალი ადგილობრივი კადრების დაქირავებას. (იხ. შენიშვნა 18).

20 ფინანსური ინტრუმენტები

20.1 მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა

მიღებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და მეთოდების დეტალები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და შემოსავლისა და ხარჯების აღიარების საფუძველი, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თითოეულ კლასთან დაკავშირებით მოცემულია 3.8 შენიშვნაში.

20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეულ კატეგორიაში შემდეგია:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	865	288
ფული და ფულადი ექვივალენტები	105	912
მთლიანი ფინანსური აქტივები	970	1,200

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,031	13,445
საიჯარო ვალდებულებები	37	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,068	13,445

21 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც ფინანსურ აქტივებთანაა დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის გამო და ძირითადად აქვს სავალუტო რისკი, როგორც ფინანსირებისგან, ასევე ინვესტირებისგან.

უცხოური ვალუტის კურსი

ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში და ევროში.

უცხოური ვალუტით გატარებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ჯგუფს საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული საბოლოო განაკვეთით:

ერთეული

31 დეკემბერი, 2019 წელი

დოლარი

ევრო

ფინანსური აქტივები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში და სხვა განმარტებითი შენიშვნები
(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

საბანკო ანგარიშები	5	7
	5	7
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,970	-
	6,970	-
წმინდა პოზიცია	(6,965)	7

ერთეული

31 დეკემბერი, 2018 წელი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
საბანკო ანგარიშები	15	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1	-
	16	10
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,276	-
	13,276	-
წმინდა პოზიცია	(13,260)	10

ცხრილი ასახავს ლარის დოლარის და ევროს მიმართ 15% (კლება)/მატების გავლენას კომპანიაზე. 15% (2018: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ევროსა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2018: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2019	2018	2019	2018
მოგება/ზარალი	697	1,989	(1)	(2)

გაცვლითი კურსისადმი მგრძნობელობა მნიშვნელოვნად იცვლება უცხოური ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციებიდან გამომდინარე. ზემოთ განხილული ანალიზი წარმომადგენლობით ხასიათს ატარებს.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტებისგან, რომლებიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულად ბალანსებთან და დეპოზიტებთან ბანკში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

ჯგუფს არ აქვს ფასიანი ქაღალდები სავაჭრო მოთხოვნების ბალანსზე. აგრეთვე, ჯგუფს არ აქვს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული უზრუნველყოფა (მაგალითად ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკში).

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული ერთეულები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფინანსური კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია საგადახდო პროფილზე გაყიდვებისთვის რომელიც გადავადებულია გასული 48 თვით, ასევე შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (აღარ აღიარდება), როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მოთხოვნების აღდგენის. ანგარიშგაქტურის თარიღიდან 365 დღის გასვლის შემდგომ გადაუხდელობა და ჯგუფთან ალტერნატიული გადახდების არ შეთანხმება მიჩნეულია მოთხოვნების აღდგენის არაგონივრულ მოლოდინად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებისთვის 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობის მიხედვით არის შემდეგი:

ათასი ლარი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2018 წლის 31 დეკემბერი			
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1 წელზე მეტი	100%	12	12
		<u>12</u>	<u>12</u>

გაუფასურების რაოდენობა წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების ერთ ინდივიდუალურ ერთეულს 2018 წლისთვის.

ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიობას.

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარტული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილი იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულებების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2019

	უპროცენტო	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)			
6 თვეზე ნაკლები	7,031	6	7,037
6 თვიდან 1 წლამდე	-	6	6
1-5 წლამდე	-	34	34
5 წელზე მეტი	-	-	-
	<u>7,031</u>	<u>46</u>	<u>7,077</u>

2018

	უპროცენტო	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)			
6 თვეზე ნაკლები	13,445	-	13,445
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-

1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
	13,445	-	13,445

ჯგუფი ითვალისწინებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოზიდვას ფინანსური აქტივებიდან ლიკვიდურობის რისკის, განსაკუთრებით მისი ფულადი სახსრებისა და სავაჭრო დებიტორული დავალიანების შეფასებისა და მართვის პროცესში. ჯგუფის ფულადი სახსრები და სავაჭრო მოთხოვნები აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს.

22 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ბალანსში ასახულია საბაზრო ღირებულებით, იერარქიულად 3 დონეს მოიცავს. აღნიშნული დაჯგუფება განსაზღვრულია საბაზრო ღირებულების დადგენისას მნიშვნელოვანი კომპონენტების დაბალი დონით:

- დონე 1: ქვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის ;
- დონე 2: კომპონენტი გარდა ქვოტირებული ფასებისა რომელსაც მოიცავს პირველი დონე, რომელიც გარჩევადია აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ.ფასიდან გამომდინარე) და ;
- დონე 3: კომპონენტები, რომლებიც არ არის გარჩევადი, აშკარა და რომლებზეც დაკვირვება შეუძლებელია ბაზრის მონაცემებიდან გამომდინარე.

22.1 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც არის ახსნილი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებები მათი საბალანსო ღირებულების მიახლოებითია.

რეალური ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ამ სავარჯიშოს შედეგად, ყველაზე მნიშვნელოვანი შენატანი არის ფასდაკლების პროცენტი. ზემოთ ჩამოთვლილი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სავარაუდო რეალური ღირებულებები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე -3 დონეზე.

22.2 არაფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანიის მიწა და შენობები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო მათი სამართლიანი ღირებულება საანგარიშგებო თარიღისთვის აღნიშნულია მე-4 შენიშვნაში. მიწის და შენობა – ნაგებობების სავარაუდო რეალური ღირებულებები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე –3 დონეზე. ქვემოთ მოცემულია დამატებითი ინფორმაცია შეფასების მეთოდების, მნიშვნელოვანი მონაცემებისა და დაშვებების შესახებ.

მიწა

შეფასება განხორციელდა საბაზრო მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს ბოლო პერიოდში საბაზრო გარიგებების ფიქსირებულ ფასებს მსგავსი თვისებებისთვის და მოიცავს კორექტირებას მოცემული მიწისთვის დამახასიათებელი ფაქტორებისთვის, მიწის ნაკვეთის ზომის, ადგილმდებარეობის, ტარების და გამოყენების მიზნების ჩათვლით.

მნიშვნელოვანი დაუკვირვებადი მონაცემები არის მოცემული მიწისთვის დამახასიათებელი ფაქტორების კორექტირებით. ამ კორექტირების მასშტაბი და მიმართულება დამოკიდებულია

მსგავს ქონებაში შესამჩნევი საბაზრო გარიგების რაოდენობასა და მახასიათებლებზე, რომლებზეც შეფასების საწყისი წერტილი გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია სუბიექტური გადაწყვეტილებაა, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მთლიან შეფასებაზე არსებით გავლენას არ მოახდენს გონივრული შესაძლო ალტერნატიული დაშვებები.

შენობა

შენობის რეალური ღირებულება შეფასებულია ზემოთ აღწერილი საბაზრო მიდგომისა და ხარჯების ჩანაცვლების მიდგომის კომბინაციის გამოყენებით (RCNLD - ჩანაცვლების ღირებულება ახალი, ამორტიზაციის გარეშე). ეს უკანასკნელი ასახავს აქტივის მშენებლობის ან სხვა გაუმჯობესების ღირებულებას, რომელსაც აქვს იგივე სარგებლობა, მაგრამ თანამედროვე დიზაინის, სამუშაოებისა და მასალების გამოყენებით, საგნის ქონების ასაკთან დაკავშირებული ნებისმიერი ფუნქციონალური დისტილაციის ფაქტორის შემცირების შემდეგ.

ყველაზე მნიშვნელოვანი დაუკვირვებადი მონაცემები სამშენებლო ხარჯების რეგიონალური კორექტირება (ტარიფები და მომსახურება, რომლებიც მოქმედებს ბაზარზე, სამეწარმეო მოგების პროგნოზები) არის ცვეთის სავარაუდო ფაქტორი (ფიზიკური, ფუნქციონალური და ეკონომიკური). საერთო შეფასებები მგრძნობიარეა სამივე დაშვების მიმართ.

მანქანა-დანადგარი და აღჭურვილობა

მანქანებისა და მძიმე ტექნიკის (მოძრავი ქონება) რეალური ღირებულება შეფასებულია ზემოთ აღწერილი საბაზრო მიდგომისა და ღირებულების ჩანაცვლების მიდგომის (RCNLD - ჩანაცვლების ღირებულება ახალი, ამორტიზაციის გარეშე) გამოყენებით. ეს უკანასკნელი ასახავს მოძრავი ქონების ღირებულებას ან სხვა გაუმჯობესებას, რომელსაც აქვს იგივე სარგებლობა, მაგრამ თანამედროვე დიზაინის, სამუშაოებისა და მასალების გამოყენებით, საგნის ქონების ასაკთან დაკავშირებული ნებისმიერი ფუნქციონალური დისტილაციის ფაქტორის შემცირების შემდეგ.

ყველაზე მნიშვნელოვანი დაუკვირვებადი მონაცემები სამშენებლო ხარჯების რეგიონალური კორექტირება (ტარიფები და მომსახურება, რომლებიც მოქმედებს ბაზარზე, სამეწარმეო მოგების პროგნოზები) არის ცვეთის სავარაუდო ფაქტორი (ფიზიკური, ფუნქციონალური და ეკონომიკური). საერთო შეფასებები მგრძნობიარეა სამივე დაშვების მიმართ.

23 გაუთვალისწინებელი გარემოებები

23.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ზოგადად არსებობს უფრო თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში. გარდა ამისა, ეკონომიკური პირობები აგრძელებს ფინანსური ბაზრების საქმიანობის მოცულობის შეზღუდვას, რაც შეიძლება არ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებს. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლება არის ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონე, ცენტრალიზებულ ეკონომიკურ ბაზასთან ერთად, ასევე რეგიონალური არასტაბილურობა და საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი.

ქვეყნები, რომლებიც თანამშრომლობდნენ საქართველოსთან, COVID 19 პანდემიის გამო, გაუარესდა ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც გამოიწვია უცხოეთიდან ფულადი გზავნილების დეფიციტი, რაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკა. სამთო პროდუქტების საერთაშორისო ფასების შემდგომმა შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებმა, ინფლაციამ, აშშ დოლართან მიმართებაში ქართული ვალუტის მნიშვნელოვნად შემცირებამ და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის პანდემიის საპასუხოდ მიღებული ზომების შესაძლო გახანგრძლივებამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება ჯგუფის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად

23.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	გრძელვადიანი სესხები	საიჯარო ვალდებულება	სულ
2019 წლის 1 იანვარი			
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
შემოსვლა	7,853	-	7,853
გადახდა	(7,864)	(11)	(7,875)
გადახდილი პროცენტი	(106)	-	(106)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
ფასს 16-ის გავლენა	-	44	44
დარიცხული პროცენტი	106	4	110
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	11	-	11
2019 წლის 31 დეკემბერი	-	37	37

25 დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დამფუძნებლები, შვილობილი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვები, როგორც აღწერილია ქვემოთ.

25.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფის 100%-იან წილს ფლობს აზერბაიჯანში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანადოლუ ინვესტმენტ კომპანი, რომელსაც თავის მხრივ აკონტროლებს აზერბაიჯანის მოქალაქე გოზალ კურტ ლეილა აბდოლბარი ქიზი. ინფორმაცია ჯგუფის შვილობილი კომპანიების შესახებ წარმოდგენილია შენიშვნა 2.6-ში.

25.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში და სხვა განმარტებითი შენიშვნები
(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ათასი ლარი

ტრანზაქციები	2019 წელი	2018 წელი
<i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ერთეულები</i>		
საქონლის რეალიზაცია	7,218	8,060
საქონლის შესყიდვა	-	181
მომსახურების შეძენა (ქონების გაქირავება)	179	159
<i>მმართველი პერსონალის ანაზღაურება</i>		
ხელფასები და სხვა ბენეფიტები	539	445

ათასი ლარი

ბალანსები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
<i>მშობელი კომპანია</i>		
გადასახდელი დივიდენდები	39	39
<i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	829	196
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	68

მმართველობითი ანგარიშგება

ანატოლია თრეიდ კომფანი

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2019 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს ანატოლია თრეიდ ჯომფანის 100 % წილის მფლობელი 2019 წლამდე იყო არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დაფუძნებული კომპანია GLOBAL AGRO INDUSTRY FZCO თუმცა 2019 წელს დამფუძნებელი შეეცვალა და 100% წილის მფლობელი გახდა Anadolu investment Company.

შპს ანატოლია თრეიდ ჯომფანი არის შპს აგარის შაქრის კომპანიის 51 %-ის დამფუძნებელი.

კომპანიის საქმიანობა მხოლოდ აგარის შაქრის კომპანიის მართვას მოიცავს, მასაბამისად ქვემოთ მოყვანილია შპს აგარის შაქრის კომპანიის მმართველობითი ანგარიშგება და 2019 წლის საქმიანობის მიმოხილვა.

მკილობილი კომპანიის შესახებ:

1. მოკლე მიმოხილვა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “აგარის შაქრის კომპანია” დაფუძნებულია 2010 წლის 22 ივლისს.

შპს “აგარის შაქრის კომპანია” 2019 წლის განმავლობაში არ აწარმოებდა შაქარს. მის საკუთრებაში არსებული აგარის შაქრის ქარხანა აშენებულია 1932 წელს. საწარმო განლაგებულია ქარელის რაიონის დაბა აგარის ცენტრში, თბილისიდან 100 კილომეტრის მანძილზე. იგი განთავსებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გზატკეცილზე, ის ახლოა შავი ზღვის პორტებთან (ფოთი - 220 კმ., ბათუმი - 300 კმ.). მისი მდებარეობა ხელსაყრელია ნებისმიერი თვალსაზრისით, რადგანაც იგი ქვეყნის შუაგულში მდებარეობს და მისი ნებისმიერი საზღვრიდან დაახლოებით თანაბარი მანძილითაა დაშორებული, ხოლო ცენტრალური ტრასიდან და სარკინიგზო მაგისტრალიდან 50-200 მეტრშია. ქარხანა უზრუნველყოფილია სასაწყობო მეურნეობასთან სარკინიგზო მისასვლელით. საწარმოს ფართობი შეადგენს 29 ჰექტარს. მის მფლობელობაშია სასაწყობო შენობები, 8,035 ჰა. ფართობის სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 0.3322 ჰა. ფართობის წყალსაქარის ტერიტორია. საწარმო მარაგდება ელექტროენერგიით, საწვავით, არსებობს წყლით მომარაგების ბუნებრივი რესურსები. თავისი არსებობის პირველ წლებში საწარმო აწარმოებდა შაქარს მხოლოდ შაქრის ქარხლიდან. პირველ, 1933 წელს გადამამუშავებული იყო მხოლოდ 4,440 ტონა შაქრის ქარხალი. წლიდან წლამდე საქართველოს შაქრის კომბინატი ზრდიდა სადღეღამისო წარმადობას და გადამამუშავებული შაქრის ქარხლის მოცულობას. 1958 წლიდან შაქრის ქარხანამ დაიწყო იმპორტული შაქრის ლერწმის გადამამუშავება. თანდათან იზრდებოდა შაქრის ლერწმის გადამამუშავების გამოცდილება და უკვე სამოცდაათიანი წლების დასაწყისში კომბინატმა მიაღწია უმაღლეს მაჩვენებლებს. იგი ამუშავებდა წელიწადში 100,000 ტონაზე მეტს შაქრის ქარხალს და 50000 ტონაზე მეტს შაქრის ლერწმის ნედლეულს. ოთხმოცდაათიან წლებში შაქრის ქარხლის დამზადების შემცირების მიუხედავად, მას ხანგრძლივი გაჩერება არ ჰქონია 2018 წლის ნოემბრამდე. ხოლო 2018 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ივნისამდე ქარხანამ წარმოება შეწყვიტა და მხოლოდ საცალო და სადისტრიბუციო ვაჭრობაზე იყო გადასული.

2. კომპანიის დამფუძნებლები და მმართველი პირები

კომპანიის მფლობელები არიან:

შპს ანატოლია თრეიდ კომპანი (406031244) - 51%

შპს ნირეზოუნ- საქართველო (404867183)- 16,35%

შპს უნივერსალ კაპიტალ გრუპი (205273336) - 24,497%

შპს ანატოლია ჰოლდინგ კომპანი ლიმიტიდ, 125534, /არაბთა გაერთიანებული საამიროები - 8,168%

კომპანიის დირექტორი 2010 წლიდან არის - ბატონი ალხან ალიზადა

ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურა არ შეცვლილა.

3. საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი)

ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა ცვლილება საწესდებო კაპიტალში და არ ყოფილა აქციების გამოშვება-გამოსყიდვა

4. განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივები

1997 წლიდან 2018 წლის ნოემბრამდე ქარხანა მუშაობდა იმპორტირებული შაქრის ლერწმის ნედლეულზე. საწარმო ნედლეულად იყენებდა ბრაზილიის უმაღლესი ხარისხის შაქრის ლერწმს. იგი მუშაობდა უწყვეტი ციკლით 24 საათის განმავლობაში ოთხ ცვლად და დასაქმებული ჰყავდა 479 თანამშრომელი. საწარმოში ფუნქციონირებდა სასადილო და სამედიცინო პუნქტი.

პანდემიის პერიოდში, მთავრობასთან წარმოებული მოლაპარაკებების შემდგომ, 2020 წლის ივლისიდან ქარხანამ განაგრძო მუშაობა, რასაც სახელმწიფოს მიერ წახალისებამ შეუწყო ხელი, მიზანი კი იყო ქვეყანაში არსებობდეს შაქრის მარაგი. თუმცა სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირება, ან სხვა მატერიალური დახმარება კომპანიას არ მიუღია. კომპანიამ პანდემიის პერიოდში მონაწილეობა მიიღო ფასების შენარჩუნების კონკურსში, ხოლო ის ფასთაშორის სხვაობა რაც სარეალიზაციო ფასსა და თვითღირებულებას შორის იყო, სახელმწიფომ აანაზღაურა. კომპანია აგრძელებს იმპორტირებული ნედლეულის გადამუშავებას და 2020 წლის ბოლოსთვის გეგმავს 500-მდე ადამიანის დასაქმებას. კომპანიის მიზანი სამომავლოდ არის ხარჯების ოპტიმიზაცია და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა. პანდემიას, სამუშაო ადგილების, ან დასაქმებულთა ხელფასების შემცირება არ გამოუწვევია, და კომპანია ორიენტირებულია განვითარებაზე.

მსოფლიო ბაზარზე ნედლეულის გაძვირებასთან და ქვეყანაში იმპორტირებულ შაქარზე კვოტების არ არსებობის გამო, რაც გამოწვეულია ევროკავშირთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიერ, იმპორტირებული შაქარი აღმოჩნდა მნიშვნელოვან უპირატესობაში. უპირატესობას ძირითადად ქმნის ევროპაში არსებული სახელმწიფოების მხრიდან, ირიბი სუფსიდია შაქრის წარმოებაზე, რაც გამოიხატება შაქრის ქარხლის მომყვანი ფერმერებისთვის დაწესებული სუფსიდიებით. რის შედეგადაც 2017 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საწარმოს შვიდთვიან გაჩერებას. საწარმოს მუშაობა აღდგენილ იქნა მხოლოდ ჩვენი დიდი ძალისხმევის შედეგად, თუმცა ზემოთ ნახსენები ხელისშემშლელი პირობებიდან გამომდინარე კომპანია 2018 წელს, თებერვლიდან მაისის ჩათვლით, ეწეოდა მზა პროდუქციის იმპორტს და რეალიზაციას. ივნისის თვიდან განაახლა წარმოება ნოემბრის შუა რიცხვამდე, რის შემდეგადაც სრულად შეწყვიტა ქარხანამ ფუნქციონირება და გადავიდა წარმოებული მარაგის ამოყიდვაზე. მარაგის ამოყიდვის შემდეგ სრულად გადაერთო შაქრის იმპორტზე და მის რეალიზაციაზე. სახელმწიფოს მხრიდან რომ შემოღებულიყო ვაჭრობაში ადგილობრივი წარმოებისთვის დაცვითი ღონისძიებების შესახებ კანონი ან განთავისუფლებულიყო საქართველოში შაქრის ერთადერთი მწარმოებელი ქარხანა დამატებული ღირებულების გადასახადისგან, ეს ხელს შეუწყობდა დარგის გადარჩენას ქვეყანაში და ქარხნის ხანგრძლივ მუშაობას. თუმცა ამ ეტაპზე მსგავსი კანონი შემოღებული არ არის, და კომპანია ყველა სხვა საწარმოს მსგავსად ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს გადასახადების გადახდას.

ქარხნის ფუნქციონირება პირდაპირ არის დამოკიდებული საერთაშორისო ბაზარზე შაქრის ლერწმის ნედლეულის ფასსა და მზა თეთრი შაქრის პროდუქტის ფასებს შორის სხვაობაზე. კომპანია გადამუშავებული პროდუქტის რეალიზაციის შემდეგ გაყიდის იმპორტირებულ პროდუქტს ადგილობრივ ბაზარზე.

შპს „აგარის შაქრის კომპანია“-მ მიაღწია შაქრის ქარხნის ისტორიაში იმპორტული შაქრის ლერწმის გადამუშავების ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებლებს. 2012 წელს გადამუშავებულ იქნა 104,285 ტონა შაქრის ლერწმის ნედლეული, 2014 წელს – 104,686 ტონა და, შესაბამისად, გამოშვებული იყო 103,487 ტონა და 102,996 ტონა თეთრი შაქრის ფხვნილი. საწარმო, ასევე, ახდენს შაქრის 1 და 5-კილოგრამიან პარკებში დაფასობას. მარკეტინგული არეალის გაფართოების მიზნით, კომპანიამ გახსნა სარეალიზაციო ბაზრები ლილოს დასახლებაში, ქ. ბათუმსა და ქ. სენაკში. კომპანიას აგარაში არსებული საწარმოს გარდა ფილიალები არ გააჩნია.

2019 წლის განმავლობაში გაყიდვები, წინა წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, რაც ქარხნის გაჩერებამ, და მხოლოდ სადისტრიბუციო საქმიანობაზე გადასვლამ გამოიწვია.

კომპანია 2020 წლიდან გეგმავს როგორც შაქრის წარმოებას, ასევე მის დისტრიბუციას. კომპანიის მიზანია ქართულ ბაზარზე, ბაზრის წილის ზრდა.

2017-2019 წლებში გადამუშავებული ნედლეული**ცხრილი #1**

	გადამუშავებული ნედლეული
2017	59,504
2018	69,401
2019	0

კომპანიის საქმიანობის შედეგად სოლიდურ შემოსავალს იღებს ქვეყნის ბიუჯეტი დამატებითი ღირებულების გადასახადის, საშემოსავლოს და სხვა გადასახადების სახით. ასევე, ქვეყნის სხვა დარგებიც, მაგალითად რკინიგზა. წარმოების პროცესში კომპანია მოიხმარს ბუნებრივ აირს, კირქვას, ნახშირს და ტექნოლოგიური დანიშნულების დამხმარე მასალებს. აქედან გამომდინარე, მას თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

ცხრილი # 2

	საშემოსავლო	დღგ	სხვა დანარენი	სულ გადახდილია ბიუჯეტში
2019	425547	11373174	0	11798721
2017	736,568.94	11,740,197.00	201,534.03	12,678,299.97
2018	254,810	4,941,262	175,281	5,371,353

დღეისათვის არსებული ტექნოლოგია, წარმოების პროცესი, პროდუქციის ფიზიკო-ქიმიური და ორგანო-ლექტიკური მაჩვენებლები მსოფლიო სტანდარტებს მიესადაგება და პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. ამის თავისებური გარანტიაა გამოცდილი და კვალიფიციური კადრები. კომპანია მიზნად ისახავს მომხმარებლების მოთხოვნების დაკმაყოფილების მუდმივ გაუმჯობესებას.

კოვიდ 19-ის გავლენა კომპანიის ბიზნესზე და მასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19 ვირუსი (ცნობილი, როგორც კორონავირუსი) გამოაცხადა, როგორც 2020 წლის მსოფლიო პანდემიური მოვლენა. ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც კომპანიაზე, ასევე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე.

პანდემიის გამოცხადების შედეგად კომპანიაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

პანდემიის გამოცხადების შემდეგ ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მუშაობა განაგრძეს დისტანციურ რეჟიმში, ხოლო საწყობის თანამშრომლები მუშაობას განაგრძობდნენ ყველა იმ რეკომენდაციის გათვალისწინებით რასაც სახელმწიფო კომპანიებს აძლევდა.

მიუხედავად პანდემიისა კომპანიამ შეინარჩუნა ყველა თანამშრომელი და სწორედ ამ პერიოდში ამაშავდა საწარმო, რომელიც 2018 წლის ნოემბრიდან იყო გაჩერებული, სამუშაო ადგილების შემცირების ნაცვლად, პანდემიის პერიოდში კომპანიამ მოახერხა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ამ დროისთვის კომპანიაში დასაქმებულია 427 ადამიანი, მაშინ როცა პანდემიის საწყისი პერიოდისთვის კომპანიას ყავდა 30 თანამშრომელი.

სახელმწიფომ პანდემიის პერიოდში გამოაცხადა ფასების შენარჩუნების კონკურსი, რაშიც აგარის შაქრის ქარხანამაც მიიღო მონაწილეობა და სახელმწიფომ აუნაზღაურა შაქრის თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ფასს შორის სხვაობა.

კომპანიის გაყიდვები 2020 წლისთვის, 2019 თან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა რადგან წარმოებამ დაიწყო ფუნქციონირება.

ხარჯების ოპტიმიზაციისთვის დამატებით ღონისძიებები კომპანიაში არ გატარებულა.

სამომავლოდ კომპანია გეგმავს რომ ქონდეს ქვეყნისთვის საჭირო რაოდენობით შაქრის რეზერვი, რისთვისაც აქტიურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას და შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.

შედეგად კომპანია მომავალში გეგმავს შემდეგი ნაბიჯების გადადგმას:

კომპანიის მიზანია, სამუშაო ადგილების ზრდა და ქვეყანაში საკმარისი რაოდენობით შაქრის რეზერვის შექმნა. 2020 წლისთვის კომპანიის გაყიდვები საგრძნობლად გაიზრდება. ამისთვის კი ის აქტიურად განაგრძობს მუშაობას. საწყის ეტაპზე კომპანიის ყველაზე დიდი ნაბიჯი წარმოების ამუშავება იყო პანდემიის პერიოდისთვის.

5. წარმოებული კვლევები და მისი განვითარება

ბოლო ორი წელია კომპანიაში არ ჩატარებულა კვლევები და არც იგეგმება უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

6. რისკების მიმოხილვა

სავალუტო რისკი

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე, რომელიც წარმოიქმნება როგორც ფინანსირებისგან, ასევე ინვესტირებიდან.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. თუმცა აქვს ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაშიც. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობები. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში და ევროში.

გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქართული ეროვნული ვალუტა განიცდიდა გაუფასურებას ამერიკულ დოლართან მიმართებაში, სავალუტო რისკის მართვის კუთხით კომპანია ცდილობდა ხელშეკრულებები გაეფორმებინა ეროვნულ ვალუტაში. 2019 წლის განმავლობაში კომპანიას გააჩნდა სასესხო ვალდებულება სს ვი-თი-ბი ბანკი საქართველოსგან აშშ დოლარში. რის შედეგადაც აღმოჩნდა სავალუტო რისკის წინაშე. თუმცა სესხი იყო მოკლევადიანი

და მიმდინარე პროცესების დაფინანსების მიზნით, კომპანიამ შეძლო, რომ წლის განმავლობაში გადაეხადა და უცხოურ ვალუტაში აღებული სესხის შედეგად წარმოქმნილი ზარალი მინიმუმამდე დაეყვანა.

კომპანიას ასევე გაფორმებული აქვს საკრედიტო ხაზი სს საქართველოს ბანკთან. კომპანია ცდილობს გამოიყენოს ეს საკრედიტო ხაზი, რადგან ის ლარშია გაფორმებული და ლარში მირებული სესხებიდან არ წარმოიქმნება სავალუტო რისკები.

ლიკვიდურობის რისკი

გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო წლების განმავლობაში კომპანიას შეუმცირდა შემოსავლები, აღმოჩნდა ლიკვიდურობის რისკის წინაშე (მიმდინარე აქტივების ჯამი, არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ დაიფაროს მიმდინარე ვალდებულებები).

თუმცა თუ მიმოვიხილავთ ბოლოს სამი წლის სტატისტიკას, კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტი დადებითია (მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებთან).

ცხრილში მოცემულია 2017-2018-2019 წლის ფინანსური კოეფიციენტები

წლები	2019	2018	2017
აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	1.61	3.56	4.91
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.99	1.27	22.57
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.29	0.09	4.89
მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი	3.99	3.21	18.1

აღნიშნული სტატისტიკა გვაფიქრებინებს, რომ კომპანია უახლოესი 12-18 თვის განმავლობაში გადახდისუნარიანია და ფუნქციონირებადი საწარმოს პრობლემის წარმოშობის წინაშე არ დადგება, ის შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას და მიმდინარე პროცესების მართვას.

7. ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა

როგორც ზევით იქნა აღნიშნული კომპანიის შემოსავლები ბოლო წლების განმავლობაში შემცირდა:

წლები	2019 (თანხები მოცემულია ათარებში)	2018 (თანხები მოცემულია ათარებში)	2017 (თანხები მოცემულია ათარებში)
შემოსავლები	51,180	64,918	90,764

შემოსავლების შემცირების მიზეზები, როგორც ზევით აღვნიშნეთ არის, ის, რომ ადგილობრივ ბაზარზე იმპროტირებულმა, მნიშვნელოვნად იაფფასიანმა შაქარმა ადგილობრივ წარმოებას გაუწია კონკურენცია.

შემოსავლების შესაბამისად, კომპანია ცდილობდა ხარჯების ოპტიმიზაციასაც:

წლები	2019 (თანხები მოცემულია ათარებში)	2018 (თანხები მოცემულია ათარებში)	2017 (თანხები მოცემულია ათარებში)
ადმინისტრაციული ხარჯები	6,076	3,972	5,185
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	1,128	757	775

ადმინისტრაციული ხარჯის დიდ ნაწილს წარმოადგენს თანამშრომლების ხელფასები:

2017 – 3,853 ათასი ლარი

2018 – 2,106 ათასი ლარი

2019 – 2,044 ათასი ლარი

როგორც ზემოთ უკვე არის ნახსენები, კომპანია თანამშრომლებს წლის ჭრილის განმავლობაში რამდენიმე თვე უშვება უხელფასო შვებულებაში და მაქსიმალურად ცდილობდა, მათთვის ადგილების შენარჩუნებას, ისე, რომ თან კომპანიის ლიკვიდურობის პრინციპიც არ დარღვეულიყო.

ალხან ალიზადა

დირექტორი

23.09.2020

აღნიშნული სტატისტიკა გვაფიქრებინებს, რომ კომპანია უახლოესი 12-18 თვის განმავლობაში გადახდისუნარიანია და ფუნქციონირებადი საწარმოს პრობლემის წარმოშობის წინაშე არ დადგება, ის შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას და მიმდინარე პროცესების მართვას.

7. ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა

როგორც ზევით იქნა არნიშნული კომპანიის შემოსავლები ბოლო წლების განმავლობაში შემცირდა:

წლები	2019 (თანხები მოცემულია ათარებში)	2018 (თანხები მოცემულია ათარებში)	2017 (თანხები მოცემულია ათარებში)
შემოსავლები	51,180	64,918	90,764

შემოსავლების შემცირების მიზეზები, როგორც ზევით აღვნიშნეთ არის, ის, რომ ადგილობრივ ბაზარზე იმპროტირებულმა, მნიშვნელოვნად იაფფასიანმა შაქარმა ადგილობრივ წარმოებას გაუწია კონკურენცია.

შემოსავლების შესაბამისად, კომპანია ცდილობდა ხარჯების ოპტიმიზაციასაც:

წლები	2019 (თანხები მოცემულია ათარებში)	2018 (თანხები მოცემულია ათარებში)	2017 (თანხები მოცემულია ათარებში)
ადმინისტრაციული ხარჯები	6,076	3,972	5,185
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	1,128	757	775

ადმინისტრაციული ხარჯის დიდ ნაწილს წარმოადგენს თანამშრომლების ხელფასები:

2017 – 3,853 ათასი ლარი

2018 – 2,106 ათასი ლარი

2019 – 2,044 ათასი ლარი

როგორც ზემოთ უკვე არის ნახსენები, კომპანია თანამშრომლებს წლის ჭრილის განმავლობაში რამდენიმე თვე უშვება უხელფასო შვებულებაში და მაქსიმალურად ცდილობდა, მათთვის ადგილების შენარჩუნებას, ისე, რომ თან კომპანიის ლიკვიდურობის პრინციპიც არ დარღვეულიყო.



ალმან ალიზადა

დირექტორი

23.09.2020